საქართველო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №6

2015 წლის 30 იანვარი

ქ. ლანჩხუთი

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე" ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-მუხლის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობათა დასახელებისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N21 დადგენილება (სსმ V, №16, 25.08.2010 მუხ. 436, გვ.122).

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2015 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ხელაძე

დანართი 1

# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობა

| № | თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| 1 | საკრებულოს თავმჯდომარე | **2650** |
| 2 | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე | **2000** |
| 3 | საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე | **1700** |
| 4 | საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე | **1700** |